

ბანმარტეპითი ბარათი

მცხეთის რაიონის სოფ: აღდგომლიაანთკარში წყალმომარაგების სისტემების პროექტი შედგენილია, თანახმად დამკვეთის მიერ მოცემული დავალების საფუძველზე. სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

შესწავლილ იქნა დამკვეთის დავალების შესაბამისად სოფ: აღდგომლიაანთკარის წყალმომარაგების რეკონსტრუქციის კვლევითი სამუშაოები, დაფიქსირდა არსებული მდგომარეობა: რაზედაც შედგენილ იქნა ტერიტორიის დათვალიერება და შესწავლა.

პროექტით გათვალისწინებულია სოფლის ცენტრში ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე 165 მ სიღრმის სასმელი წყლის ჭაბურღილი რომელიც დაპროექტებულია ჰიდროგეოლოგიური დასკვნის საფუძველზე. საპროექტო დებეტით 5 მ³/სთ-ში.

ჭაბურღილიდან წყალი გადაიქაჩება $d=63$ მმ 650 მ სიღრმის პოლიეთილენის მილით ლითონის 50 მ³/იან რეზერვუარში საიდანაც წყალი მიეწოდება უკვე სოფელ აღდგომლიაანთკარს,

აღნიშნული ლითონის რეზერვუარი დამონტაჟდება რკინაბეტონის დგარებზე, შეიფუთება მინაბამბით და თუნუფის ფურცლოვანით (პროფნასტილით)

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

პროექტის ავტორი:

ნ. ლაფაჩი